დადგენილება 41/2020 „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში მისაღები გამოცდების მოთხოვნებში ერთჯერადი ცვლილებების შეტანისა და დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

დადგენილება №41/2020

17 ივნისი 2020

დადგენილება 41/2020 „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში მისაღები გამოცდების მოთხოვნებში ერთჯერადი ცვლილებების შეტანისა და დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, 63-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების პრევენციისათვის, საქართველოს მთავრობის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციების, 2020 წლის 1 ივნისს რექტორის N02-88-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს-ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდებისთვის დანართი N22-ის, კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 13 ივნისის N06 სხდომის ოქმის, აკადემიური საბჭოს 2020 წლის 17 ივნისის N22 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში მისაღები გამოცდების მოთხოვნებში ერთჯერადი ცვლილებების შეტანისა და დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის N34 დადგენილებაში და **მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. შეტანილ იქნას ცვლილება ერთჯერადად სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში მისაღები გამოცდების მოთხოვნებში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მუსიკის თეორია" მუსიკის თეორიის ნაწილის კომპონენტებში შევიდეს ცვლილება, სოლფეჯიოს ნაწილის სმენითი ანალიზის კომპონენტში მოიხსნას მე-3 და მე-5 პუნქტები (აკორდები, მოდულირებული ნაგებობა);

ბ)კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მუსიკის თეორია" მუსიკის თეორიის ნაწილის ჰარმონიის კომპონენტში შემცირდეს ამოცანის მოცულობა და იყოს 8-10 ტაქტი;

გ)კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მუსიკის თეორია" მუსიკის თეორიის ნაწილში ქართული ფოლკლორის კომპონენტში შევიდეს ცვლილება, საგამოცდო ბილეთში ორი თეორიული საკითხისა და ორი სიმღერის ნაცვლად, შევიდეს ორი თეორიული საკითხი და ერთი სიმღერის მღერა;

დ) კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მუსიკის თეორია" მუსიკალური ლიტერატურის ნაწილში წერითი კომპონენტის მოდიფიცირება მოხდეს ზეპირ ფორმატად;

ე)კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მუსიკის თეორია" მუსიკალური ლიტერატურის ნაწილში პროფესიული მუსიკის 10 ნიმუშის ნაცვლად 5 ნიმუშის გამოცნობა;

ვ)კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მუსიკის თეორია" მუსიკალური ლიტერატურის ნაწილში მოიხსნას ფორტეპიანოს კომპონენტი (ფორტეპიანოსადმი კუთვნილი 20 ქულა თანაბრად გადანაწილდეს მუსიკალური ლიტერატურის ორ კომპონენტზე, პროფესიული მუსიკის 5 ნიმუშის გამოცნობა 10 ქულა, ზეპირი გამოცდა მუსიკალურ ლიტერატურაში 10 ქულა)**.“**

2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე **www.tsc.edu.ge**

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

4. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე